სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 5

ქ. თბილისი, 30.06.2025, 12 საათი,
თსუ I კორპუსი, აუდიტორია N 201 ა

სხდომას ესწრებოდნენ: ბერულავა გიორგი, გაფრინდაშვილი ნანა, გელაშვილი სიმონ, გოგიაშვილი ლიანა, თადუმაძე თამაზ, მაჭავარიანი ლია, პატარიძე დიმიტრი, რუბაშვილი იმედა, რუხაძე მარინა, ფიცხელაური ნატო, ქიტიაშვილი ანასტასია, ყარალაშვილი თამაზ, შალიკაშვილი მორის, შატბერაშვილი ნინო, ხუციშვილი ქეთევან, ჯავახიშვილი ნიკოლოზ.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **კობა ივანაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ავთანდილ ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარიამი რევიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია” დოქტორანტ **ანა ქირიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ევროპისმცოდნეობის“ დოქტორანტ **თათია დოლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართლის“ დოქტორანტ **ნანა მჭედლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. ღია კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **კობა ივანაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ასოც. პროფესორმა ჯემალ როგავამ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „განზოგადებული სასრული ვარიაციის ფუნქციათა კლასების შესახებ“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული 3 პუბლიკაციის შესახებ, რომელთაგან 2 დაბეჭდილია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში. ისაუბრა, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 6 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **კობა ივანაძისათვის** მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ დოქტორანტ **ავთანდილ ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასოც. პროფესორმა ლეილა ღუდუშაურმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „საპენსიო ფონდების განვითარება საქართველოში: პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზები" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის

გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დოქტორანტი მუშაობს საპენსიო ფონდში და პრაქტიკული გამოცდილება ასახულია მის ნაშრომში. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 92 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ავთანდილ ლილუაშვილისთვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

3. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ფსიქოლოგია“ დოქტორანტ **მარიამი რევიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების თვითრეგულაციის ფსიქოლოგიური მექანიზმები“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, რომელთაგან ერთი სკოპუსის ინდექსირებულ ჟურნალშია დაბეჭდილი. ასევე ისაუბრა რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. აღნიშნა, რომ დისერტაციის თემაზე დოქტორანტს მოპოვებული ჰქონდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის ყველა, 9-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მარიამი რევიშვილისთვის** ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

4. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ანა ქირიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრმა, თსუ ასისტენტ-პროფესორმა თამარ აფციაურმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „პროკლეს მეტაფიზიკური სისტემის იდეური რეცეფცია და ტრანსფორმაცია დამასკიოსსა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან (ნაშრომებში საწყისთა შესახებ და ღვთაებრივ სახელთათვის)" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 11-დან 10 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ანა ქირია გამორჩეული მკვლევარია, რომელსაც მიღებული აქვს გრანტები, პრემიები; მონაწილეობს სატელევიზიო გადაცემებში.

აზრი გამოთქვა: ნ. გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ანა ქირია სწავლების ყველა საფეხურზე იყო გამორჩეული სტუდენტი, რომელიც ამჟამად თსუ-ში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. ის მხარს უჭერს ანა ქირიასთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ანა ქირიასთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

5. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ევროპისმცოდნეობის" დოქტორანტ **თათია დოლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ფიქრია ასანიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - "Regionalization as the Pillar of the EU Foreign Policy: Exploring the EU's Policy Practices of Regionalization towards the South Caucasus" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 7-დან 5 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 81 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თათია დოლიძისთვის** ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

6. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართლის" დოქტორანტ **ნანა მჭედლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანმა, თსუ ასოც. პროფესორმა ეკა სირაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობდა კომისიის 8-დან 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 94 ქულით.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნანა მჭედლიძისთვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

7. **მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ხუციშვილმა, საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.
მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ასოც. პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ, საბჭოს მოახსენა ფაკულტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის შესახებ.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა, თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია კენჭიყრის საფუძველზე დამტკიცდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ შემუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი